№ 115

კვირა, 4 ივნისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 115

კვირა, 4 ივნისი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

კვირასა და ორშაბათს 4—5-ს ივნისს

გამართული იქნება

**ლატარია-ალეგრი**

გასაძლიერებლად „ტფილისის მეორე გიმნაზიის დამხმარებელ საზოგადოებისა".

ამ საზოგადოების გამგე კომიტეტის თავმჯდომარე კნ. ბ. გ. ბარათაშვილისა აცხადებს რა ამას საყურადღებოდ ტფილისის საზოგადოებისა, დიდად იმედოვნებს, რომ პატივცემული საზოგადოება წელსაც, როგორც შარშან, გულ-მხურვალედ მიეგებება ამ კეთილს საქმეს და შესწირავს ნივთებს ზემოხსენებულს დამხმარებელს საზოგადოებას ლატარია-ალეგრის გასამართავად, რომლის შემოსავალი ერთიან გადაიდება ამ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

შემოწირულებანი მიიღება გამგე კომიტეტის თავმჯდომარის კნ. ბ. გ. ბარათაშვილისას, საკუთარს სახლში, რეუტოვის ქუჩაზედ და სასწავლებლის დირექტორ დრბოგლავთან, ვორონცოვის-ნაზერეენი ქუჩაზედ, გიმნაზიაში.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**

**ვ. ი. ჟიჟინაძისა და ქ-ნის ქხ. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—ხდა საღამოს 4—7 საათამდე.

კვირას, 11 ივნისს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდება **კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა** შემდეგ საგნების განსახილველად:

1) წარსულის წლის ანგარიში;

2) მომავალ-სეზონის სავარაუდო ანგარიში;

3) გამგეობის წევრთა ამორჩევა და 4) საზოგადოების წევრთა ამორჩევა.

## ტფილისი, 4 ივნისი.

საფრანგეთის რესპუბლიკის დღევანდელი ადმინისტრატიული მართვა-გამგეობა თითქმის უცვლელად დარჩა ნაპოლეონ დიდის დროიდგან. ამ მართვა-გამგეობის პრინციპია: მტკიცე ცენტრალიზაცია—ესე იგი—ყოველი ადგილობრივი დაწესებულება სრულიად დამოკიდებულია ცენტრალურ უმაღლეს მთავრობიდგან. ჯერ დიდის რევოლიუციის პირველმა მთავრობამ სრულიად მოსპო მონარქიის დროის პროვინციათა განსხვავება და სხვა და-სხვა დაწესებულებათა პრივილეგიები და უფლებანი. მთელი საფრანგეთი დაიყო მაშინ დეპარტამენტებად, რომლებშიაც შემოღებულ იქმნა ერთნაირი მართვა-გამგეობა. თუ ამ დროის ადგილობრივ დაწესებულებათ კიდევ ჰქონდათ თვით-მმართველობის მცირეოდენი ნიშანი, ნაპოლეონმა ეს ნიშანიც მოსპო და მთელის საფრანგეთის მართვა თვისს მძლავრს ხელში ჩაიგდო. ყოველის დეპარტამენტის სათავეში იდგა პრეფექტი, რომელსაც ნიშნავდა უმაღლესი მთავრობა და რომელიც სრულიად ექვემდებარებოდა უმაღლესს მთავრობას. ყოველი დეპარტამენტი დაიყო რამდენსამე ერობათ, რომელთა სათავეშიც იდგა მერი, იმავე ცენტრალურ მმართველობის მიერ არჩეული. ამრიგად სრულიად მოისპო პროვინციის თვით-მმართველობა და ყოველივე დაემორჩილა პარისს. პარისი გახდა საფრანგეთის ბატონად და გამგებლად. ისეთ ნაირად დაეცა პროვინციის მოღვაწეობა და თვით-მოქმედება, რომ იმ დროის ისტორიკოსები ერთის ფრაზით ახასიათებენ ხოლმე პროვინციის სრულს დამოკიდებულებას: საფრანგეთის სოფელი ისე ხიდს ვერ გააკეთებს და ქალაქი ქუჩაში ერთ სანათს ვერ მიუმატებს, თუ უმაღლესს მთავრობას არ დაეკითხაო.

რესპუბლიკური საფრანგეთი ასე არ ჰზღუდავს პროვინციის ცხოვრებას, მაგრამ ცენტრალიზაციის პრინციპი დღესაც მტკიცედ არის დაცული. ახლანდელს ადგილობრივ საბჭოებს არა აქვთ იმდენი უფლება, რამდენიც საჭიროა ქვეყნის თავისუფალ განვითარებისა და პროგრესისათვის.

ამგვარმა წეს-წყობილებამ დიდი ვნება მოუტანა საფრანგეთის პროვინციას და ამით მთელს სახელმწიფოსაც, რასაკვირველია. ვინც-კი ამაღლდება პროვინციაში-ან სამეცნიერო, ან საპოლიტიკო, ან სხვა რამ სფერაში, მაშინვე დედა-ქალაქში გარბის, მისთვის რომ პროვინციაში არა აქვს შესაფერისი ასპარეზი მისს გონებასა და ნიჭს. პარისში ძლიერდება ვაჭრობა-მრეწველობა, ხელოვნება და მეცნიერება, პარისს იქით-კი მყუდროება და ერთფეროვნება სუფევს. საზოგადოების სული და გული დახშულია პროვინციებში, ყოველისფერი ემორჩილება დედა-ქალაქის გავლენას. პროვინციის ქალაქი და სოფელი მეტის მეტ წვრილმან საზოგადო საქმეს ეტანება, უმეტეს დროს-კი პროვინციის მცხოვრები საკუთარს საქმეებშია გართული, რის გამოც ძლიერდება საშინელი ინდივიდუალიზმი და მისი განუყრელი თანამგზავრი-ეგოიზმი.

რასაკვირველია პროვინციის ამგვარი ცხოვრება დიდად აფერხებს მთელის სახელმწიფოს კეთილ-დღეობას და ხელს უშლის საფრანგეთში ნამდვილ თავისუფლების დამყარებას. ამიტომაც მესამე რესპუბლიკის გამოჩენილმა პოლიტიკურ მოღვაწეებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ადმინისტრატიულს წეს-რიგის შეცვლის საჭიროებას. მათმა ქადაგებამ საზოგადოების გული მალე მოიგო, მთავრობაც იძულებული გახდა დათანხმებულიყო, რომ რეფორმები შემოეღოს და თუ არა ვცდებით, დიუპუის სამინისტროს მმართველობის დროს დაარსებულ იქმნა კომისია, რომელსაც მიენდო საჭირო პროექტის შემუშავება. კომისიის წევრებად არიან ცნობილნი სახელმწიფო მოღვაწენი, პროვინციის საქმეთა მცოდნე პირნი, მეცნიერნი და სხვა. გარდა კომისიისა დაარსდა აგრეთვე „დეცენტრალიზაციის გუნდი", რომელმაც საგნად დაისახა თვით-მმართველობის უკეთესის ფორმების შესწავლა—გამოკვლევა და ახალის რეფორმის ახსნა-გაცნობა საზოგადოებისათვის. ორივე დაწესებულება გულ-მოდგინედ მუშაობს და საფრანგეთის დაწინაურებულს საზოგადოებას იმედი აქვს, რომ მალე ექნება პროექტი ვრცელის დეცენტრალიზაციისა, ესე იგი პროვინციის თვით-მმართველობის წეს-რიგზედ მართვა-გამგეობისა.

ამრიგად საფრანგეთის პროვინციასაც მალე ეღირსება თვით-მმართველობა, რომელიც აუცილებლად საჭიროა მისის ცხოვრების აღორძინებისათვის და კეთილ-დღეობისათვის და რომელიც, ზოგან სუსტად, ზოგან თვალ საჩინოდ, უკვე არსებობს ევროპის სხვა დიდს სახელმწიფოებში.

რუსეთში იმპერატორის ალექსანდრე მეორის დროს თვით-მმართველობის საქმეს კარგი დარი დაუდგა, თუმცა, სამწუხაროდ, არა მთელს იმპერიაში. შიდა გუბერნიებში დაწესებულ ერობათ თვალსაჩინო მოღვაწეობა გასწიეს და ბევრი რამ შესძინეს ხალხს. თუმცა ამგვარი თვით-მმართველობა ძალიან დაშორებული იყო, არა თუ იდეალსა, არამედ ევროპის თვით-მმართველობასაც, მაგრამ მაინც შესძლებდა სარგებლობა მოეტანა, რომ გარემოება სრულიად არ შეცვლილიყო. ალექსანდრე მეორის შემდეგ-კი იჭვის თვალით შეჰხედეს ერობას და ისეთნაირად შეზღუდეს მისი მოღვაწეობა, რომ მხოლოდ სახელი-ღა დარჩა.

ეს ფრიად სამწუხაროა, რასაკვირველია, მისთვის რომ რუსეთის იმპერიას განსაკუთრებით ესაჭიროება დეცენტრალიზაციის წეს-რიგზედ პროვინციათა მართვა-გამგეობა. რუსეთის იმპერიაში შედის ბევრი სხვა-და-სხვა ერი, რომელთაც საკუთარი ზნე-ჩვეულება და ადგილობრივი ინტერესები აქვს და რომელთ ადგილობრივი თვით-მმართველობა უკეთ გაუძღვება. გარდა ამისა იმპერია ისეთ ვეებერთელა მანძილზედ არის გადაჭიმული, რომ ცენტრალური მმართვე-

# ფელეტონი

### ნაწყვეტი.

ყურთ მესმა უწეს-რიგობა,  
გულმა დამიწყო ტკივილი,  
თვალმა მონახა მოძმენი  
და ბაგემ მორთო ჩივილი.  
მაგრამ, ამაოდ, უარ-ჰყვეს  
ჩემი საგრძნობი ყივილი  
და მხოლოდ დამრჩა მე მისგან  
გულის უსაზღვრო ტკივილი...

დ. ნინოწმინდელი.

### სიყვარულის შური.

(ტუსაღის ხელთ-ნაწერი).

ფრანსუა კოპპესი.

(დასასრული*)

მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. ჩვენ ისე დაღონებულები შევცქეროდით ერთმანეთს გაღობილ რკინის მოაჯირიდამა.

— მაშ ცოტათი მაინც გიყვარვარ? —ვუთხარი მე. —მართლა გიყვარვარ?

— უფრო მეტად და უკეთესად, ვიდრე უწინ, ამას შენ თვითონ ჰხედავ.

— შენ ხომ წინად ისე გულგრილად მეპყრობოდი?!

— მართალია, მაგრამ შენმა საქციელმა სრულებით გამომცვალა.... განა შემეძლო მეფიქრა, რომ შენ ისე ძალიან გეყვარებოდი? ვინდა გამომცადე.

— მხოლოდ ერთი რამ დამარწმუნებდა.

— რა?

— რომ შეიძლო, ერთგულობა გამიწიო განთავისუფლებამდის....

— გაძლევ პირობას... გეფიცები!

— კმარა! მაშ როგორ იცხოვრებ?

— ვიმუშავებ.

— შენ, ჩემო საცოდავო მარგალიტა, შენ?

— მე ხომ ერთ დროს ვსწავლობდი კიდეც, მკერვალობა მსურდა... თორემ, ჰნახავ.

ერთი კვირის შემდგომ მარგალიტა კიდევ მოვიდა ჩემ სანახავად; გაიძრო ხელთათმანი და მიჩვენა თვისი პაწია თითები. თითებზე ნემსის ნაჩხვლეტები ეტყობოდა. მარგალიტას ერთს კარგს მაღაზიაში ეშოვა მკერვლის ადგილი, და ეხლავე თურმე დღეში ორმოცს სუს *) აძლევდნენ; შემდგომში-კი, როგორც თითონ მითხრა, სამს ფრანკსაც გაუხდიდნენ დღეში.

— ამ ფულით-კი შეიძლება ცხოვრებაო,—ღიმილით დაუმატა მარგალიტამ.—ოჰ, რასაკვირველია მშვენივრად-კი არა... და მე ხომ ამაზედ სრულიადაც არ ვფიქრობო... ერთია ჩემთვის საჭირო, ჩემი მეგობარი რითი მე ვასიამოვნოო...

მარგალიტა წინადაც ამავე „მეგობრის" სახელით მიხსენიებდა ხოლმე, მაგრამ ისე გულცივად და უგრძნობელად, როგორც ყველა თავისს საყვარლებს; დღეს-კი ისეთის გრძნობიერისა და ნაზის ხმით წარმოსთქვა ეს სიტყვა, რომ ჩემდა უნებურად გადმომცვივდა თვალთაგან ცრემლი.

ეხლა ჩემთვის სრულებითაც აღარ იყო ისე აუტანელი ტუსაღობა და მისი სამარცხვინო ფარაჯა, აღარც ისე საზიზღარი ის სახვრეტი წვენი, რომელსაც სხვა ბოროტ-მომქმედებთან ერთადა ვსჭამდი საერთო ჯამიდამა,—თუნდ ეს დაუსრულებელი, უძილო და ბნელი ღამეები! მე ვუყვარდი მარგალიტას. ის მუშაობდა, შრომობდა, რომ პატიოსნად დარჩენილიყო ჩემ გამოსვლამდის. განა შესაძლებელია? არასოდეს! მე მოვიქმედე დანაშაული დედაკაცისათვის. მაგრამ სამაგიეროდ მომელოდა სიხარული, გამოვიდოდი თუ არა სატუსაღოდამ, მელოდა ალერსი და სიყვარული იმ დედაკაცისა, რომელსაც მე ეხლა ასე ვუყვარდი. დღეის შემდგომ ის თითონ დამიშლიდა, რომ რაიმე ავ-კაცობის ჩადენა გამეზრახა. ოჰ! დიაღ, რომ სრულებით უსაყვედუროდ შევასრულებდი ეხლა ჩემ მიერ დამსახურებულს სასჯელს! თვით უმძიმეს ტანჯვის დროს სატუსაღოში მე მხოლოდ მარგალიტაზედ ვფიქრობდი. ტკბილი საიმედო ტალღები გულს მიხარებდა მომავალ ბედნიერებას რომ წარმოვიდგენდი, მითბობდა თვისის გამკურნებელის სითბოთი, და ჩემი საზარელი ტუსაღობის ამხანაგნი-კი განცვიფრებულნი მეკითხებოდნენ, თუ რად ვიყავ ისე ბედნიერი.

ეს ნეტარი მდგომარეობა სულისა, ეს ხანა იმედებისა და ბედის მორჩილებისა განგრძო სრულს ორს თვეს,—მე, რომელსაც მაკისრეს საშინელი სასჯელი და რომელსაც სატუსაღოს ყარაულები ძაღლივით მეპყრობოდნენ, გამოვცადე ეს ნეტარი წამები. მარგალიტა-კი მთელს ამ დროს მუყაითად დაიარებოდა ჩემ სანახავად. მე მუდამ სიბრალულით შევყურებდი ხოლმე მარგალიტას ღამ-ღამობით მუშაობისაგან ირგვლივ ჩაშავებულს თვალებს, მისს ჩამომხმარს ლოყებს, ნემსებისაგან მთლად დაჩხვლეტილს პაწია თითებს და კაბას, რომელიც, რაც ხანი გადიოდა, იმდენი თან-და-თან ძველდებოდა.

ერთხელ,—ეს დღე იყო ჩემთვის დასაწყისი საშინელის სულიერის ტანჯვისა, მარგალიტა ახალის კაბით მოვიდა ჩემთან.

იმავ წამს ეჭვმა შემიპყრო, მაგრამ იმან თამამად შემომხედა და ღიმილით მითხრა:

— აა! შენ ჩემს კაბას უცქერი!... ეს კლოტილდამ მაჩუქა... არ გაგონდება ჩემი მეგობარი კლოტილდა, გახსოვს, პირველად რომ ჩვენ ერთმანერთი გავიცანით, ის... ეხლა მას საყვარელი ჰყავს, რომელსაც თურმე გაგიჟებით უყვარს. იმან მნახა, რომ ისე ღარიბულად მეცვა, და ეს კაბა მაჩუქა. მას ეს კაბა სულ ხუთჯერ არა სცმია. მე მხოლოდ გადავაკეთე... სრულებით ახალსა ჰგავს, არა?

ეს სიცრუე იყო! მას შემდეგ, რაც მე და მარგალიტამ ერთად დავიწყეთ

*) იხ. „ივერია", № 114.

*) სუ $1^1/_4$ კაპ.

ლობა, რაც უნდა კარგი იყოს, მაინც ვერ შესძლებს ჯეროვანად გაუძღვეს პროვინციის მრავალ საჭიროებათა და მოთხოვნილებათ.

ლალი.

# ახალი ამბავი

—

*** დღეს, 4 მაისს, მუშტაიდში გამართულ იქნება ლატარია-ალეგრი მე-2-ე კლასიკურ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. უეჭველია, ქართველი საზოგადოება არ დაიშურებს თავისს წვლილს, რადგანაც ხსენებულს სასწავლებელში მრავალი ქართველი ღარიბი მოწაფეც სწავლობს, რომელთათვისაც ზრუნვა ყველასათვის უწმიდეს მოვალეობად უნდა ჩაითვალოს.

*** დღეს, 4 მაისს, კავკასიის საქალებო ინსტიტუტში გარდახდილ იქმნება წლიური აქტი ამ წელს სწავლა დამთავრებულ მოწაფე ქალთა სწავლის შესრულების გამო.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია თორმეტს ივნისს.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „მოღალატე ძმა“ (ზღაპრული პოემა) მ. ღლონტისა. გამოცემა კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიისა. წიგნი შეიცავს 38 გვერდს და ღირს ორი შაური.

*** სამეურნეო სამინისტროს გამოუგზავნია კერძო მინდობილებათა მოხელე ბ-ნი ბალლისი, რომ კავკასიაში მევენახეობისა და ღვინის დაყენების საქმე გამოიკვლიოს. ცნობანი ამ საგნის შესახებ, რომელიც განსაკუთრებულს კომისიას ჰქონდა და რომელსაც ჰქონდა მინდობილი გამოკვლევა იმისი, თუ როგორ უნდა დაედოს აქციზი ღვინოებს, საკმარისად არ იქმნა ცნობილი და კომისიის მუშაობა ამიტომ, როგორც ხმა დადის, შემოდგომამდის არ შესწყდება.

*** ტფილისში და[illegible] სკოლა ბრმებისათვის. ამ სკოლის არსებობაში და წინ-სვლაში დიდს მონაწილეობას იღებს მთავარ-მართებლის შერემეტევის მეუღლე. სკოლასთან თავშესაფარიც არსებობს, ასე რომ ყოველ ბრმას მიიღებენ, აცმევენ, აჭმევენ, ასწავლიან რაიმე ხელობას და როდესაც იმდენად გავარჯიშდება, რომ ბრმა შეიძლებს თავის რჩენას, გამოდის სკოლიდგან. მმართველობა ამ სკოლისა დიდის სიხარულით მიიღებს ყოველს ბრმას, ვაჟი იქნება იგი თუ ქალი, სულ ერთია. ჩვენში მეტად ბევრნი არიან ბრმები და საცოდავ მდგომარეობაშიაც. რა ლაპარაკი უნდა, რომ ეს დაწესებულება დიდს სარგებლობას მოიტანს.

*** სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამოუგზავნია მეთევზეობის ნაწილის ინსპექტორი გრიმმი, რათა ამ უკანასკნელმა გამოიკვლიოს მეთევზეობის საქმე. ყუბანზედ, შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებისა, კავკასიის მდინარეთა და კასპის ზღვის სამხრეთ ნაწილში. გარდა იმისა რომ ამ გამოკვლევის დროს შეიკრიბება მრავალი სასარგებლო ცნობა ადგილობრივ მეთევზეობის საქმის გასაუმჯობესებლად წესდების შესადგენად, ეს გამოკვლევა კიდევ იმითია სასარგებლო, რომ გამოირკვევა შესაძლებელია თუ არა მტკვარში ხელოვნურად ლოქოს გამრავლება და ამ აზრით აქ სათევზურ ქარხნის დაარსება.

*** კავკასიის სააბრეშუმო სადგურის ქიმიურს ლაბორატორიაში, ტფილისში, ხსენებულ სადგურის ქიმიკოსმა ბ-ნმა სტახოვსკიმ, სხვათა შორის, მოახდინა ქიმიური ანალიზი ჩაქვის ჩაის პლანტაციის 1-ლისა და მეორე მოსავლის ჩაისა, რომელიც პოლკოვნიკმა სოლოვცემა წარმოუგზავნა. ბ-ნმა სტახოვსკიმ გამოიყვანა შემდეგი დასკვნა: 1-ლის მოსავლის, ანუ 1894 წლის, ჩაი დაბალ ხარის ხის ჩაი გამოდგა, ხოლო მეორე მოსავლისა ეკუთვნის საუკეთესო ხარისხის შავს ჩაის. როდესაც ჩაის მოყვანის საქმე, მისი გახმობა და მოვლა გაუმჯობესდება, ყოველს ეჭვს გარეშეა ჩაქვის ჩაის მთელს სახელმწიფოში დიდი გასავალი ექმნება და თვალ-საჩინო სიმდიდრედ გარდიქმნება. ამასუნდა შემდეგი ცდაუმატოთ, რომ ჩაქვში ჩაი მშვენივრად ხარობს და როგორც „სავაჭრო სამრეწველო გაზეთიც“ ამბობს, ამ ახალს მრეწველობას უნდა უთუოდ ბლომად დაეთმოს მიწა, რათა უფრო გაძლიერდეს მისი წარმოება.

*** ერთი მეტად ახირებული ამბავი მომხდარა სამეგრელოში. ვიღაც ლოლუას ჰყოლია საყვარელი, რომლისათვის თავი დაუნებებია და სხვა ქალთან დაქორწინებულა. რამოდენიმე ხნის შემდეგ საყვარელი შეხვედრია ლოლუას და საყვედური უთქვამს—ეგრე რათ დამივიწყე, მინახვიდე ხოლმე და მეგობრები ვიყვნეთო. ლოლუაც სწვევია ერთს საღამოს ამ ქალსა და, როდესაც ნავახშმევს დაუძინია, ქალს სამართებლით ყოვლად უცნაურად დაუჭრია, რომლის გამო ლოლუა მესამე დღეს ქუთაისში, თოფურიას საავადმყოფოში, მომკვდარა.

*** ახალ-ციხე: აქ პირველს ივნისს ტყის მცველმა თათარმა სასიკვდილოთ დასჭრა სომეხი გლეხი, რადგანც მას უბარათოთ გამოეტანა ტყიდგან ერთი საპალნე შეშა.

*** თიანეთი: დღეს, 30 მაისს, მთავრობისაგან თიანეთის საზოგადო წიგნთ-საცავის დამტკიცების გამო ვაკურთხეთ ხსენებული წიგნთ-საცავი სამკითხველოთი. ხალხი ბლომად დაესწრო, როგორც წევრნი, აგრეთვე ადგილობრივნი და გარეშე სოფლის მცხოვრებნიც. პარაკლისის შემდეგ ბლ. კოშორიძემ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და დარიგება მისცა იქ მყოფ სკოლის მოწაფეებს; შემდეგ გლეხკაცობას დაურიგეს სახალხო წიგნები უფასოდ.

*** ქ. ქუთაისი მაისის 27, ნაშუდღევის 5 საათზედ, გზა-ტკეცილზედ, მგზავრს გლეხებს ავაზაკები დახვდნენ; ოთხი გლეხი მძიმედ დასჭრეს და გაძარცვეს, მეხუთე გაექცათ. დაჭრილ გლეხებს ბაღდადიდგან მომავალი დილიჟანი მოეწიათ, რომლითაც, სხვათა შორის, ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწე ჩიქოვანი მოდიოდა შეიარაღებულის იასაულით. გლეხებმა უამბეს თავგადასავალი და სთხოვეს გამოჰკიდებოდა ყაჩაღებს, მაგრამ თავ. ჩიქოვანმა, იმის მაგიერ რომ მალე გამოჰკიდებოდა ავაზაკებს, რომელნიც ჯერ კიდევ შორს არ იყვნენ წასულნი, დილიჟანი უკანვე დააბრუნა და დაჭრილებს უთხრა: „სოფელში გლეხებს მოვაგროვებ და შემდეგ დავედევნები ავაზაკებსაო“.

# დამაკვირდი

—

ბევრს მხოლოდ მაშინ აგონდება თავისა პატიოსნება, როდესაც მას შეეხებიან.

ვერტიმერი.

# ნაკვესი

—

გურული და მეგრელი, ზაფხულში, ქუთაისში საქმისათვის ჩამოსულნი, ბასსობდნენ სასტუმროში. ბუზებისაგან შეწუხებული მეგრელმა ჰკითხა:

— რა ოხრობაა, პატენი, ამიდენა ბუზი... ჩვენში იერთსაც ვერ დეინახავ!!

— დედავ, და თქვენში რომ საჭმელი არ არის, რას უნდა მიაჯდეს ბუზი?! სხაპა-სხუპით მიახალა გურულმა.

# კორესპონდენცია.

—

**მეჯუდის ხეობა.** ამ ცოტა ხანში მეჯუდის-ხეველებს ძალიან ცუდი საქმე მოუვიდათ. ს. მეჯვრის ხევზედ ხუთის ვერსის სიშორეზედ მდებარეობს ოსების სოფელი „ივრეთი“, რომელიც მთაზედ არის გაშენებული. ეს „ივრეთის მთა“ თურმე კარგა ხანია, რაც ნელ-ნელა ძირს იწევს, მაგრამ ივრეთელები ყურადღებას არ აქცევდნენ. 26 მაისს ივრეთის მთა ძალიან დაიძრა, მრავალ ალაგას გასკდა (დაძვრას წყაროს წყლებს აბრალებენ, რადგანაც მთას მრავალად ჩამოუდის ასეთი წყლები) და თან ჩამოიტანა მრავალი მოხნული ყანები ოსებისა, სამოც ძირამდის კაკლისა და სხვა ხეები, საბძლები და კალოები... ამასთან მთა დღითი-დღე კიდევ იწევს ძირს და ირღვევა. ამ ჟამად ნახევარ ვერსის სიგრძეზედ არის ჩამოსული. შესაძლებელია მალე სრულიად ჩამოწვეს. რომ სრულიად შიგ არ ჩაღუპულიყვნენ, აქ მცხოვრებთ სოფელს თავი დაანებეს, მთაში გაიხიზნენ და ნაჭირნახულევიდგან ხელცარიელები დარჩნენ. წელს პური და ქერი სრულებით აღარ მოუვათ და შემდეგშიაც ხომ კარგა ხანი აღარაფრათ გამოდგება ეს ადგილი ამათ (ადგილი აზნაურ თულაშვილებს ეკუთვნის). ჩამოწოლილი „ივრეთის მთა“ მდ. მეჯუდაში ჩაეშვა, შეაყენა მეჯუდა და მეორე მის დასავლეთის მხრით მთას შეუერთდა. ეხლა წყალი ტბასავით შეყენებულია: ორი მთა ერთმანეთს უერთდება, მეჯუდას თავისუფალი გზა აღარა აქვს გასასვალი და მხოლოდ ცოტა ადგილიდგან-ღა გადმოსჩქეფს. რამდენისამე დღის განმავლობაში სრულიად შეიკვრის წყლის გასავალი რიყე და წყალი კიდევ უკან-უკან წავა, მეჯუდისხეველები უწყლონი დარჩებიან და შეიძლება შემდეგ უცებ წამოსულმა შეგუბებულმა წყალმა მთელს მეჯუდის-ხეობის ქვევით მდებარე სოფლებს დიდი ზარალიც დააყენოს. უბედურება კიდევ ის არის, რომ შეგუბებულმა წყალმა ტყისა და მთიელების საზოგადო გზა სრულიად წალეკა და გააფუჭა. ეს გზის გაფუჭება ისეთი საგრძნობი ზარალია, როგორც მეჯვრისხეველებისათვის, ისევე ოსებისა და ახლო-მახლო სოფლებისათვის, რომ ადვილად ვერ მოინე-

---

ცხოვრება, მას ერთხელაც არ უხსენებია კლოტილდა. წინად-კი ისინი ერთსა და იმავე სასტუმროში სცხოვრობდნენ, ერთმანერთის მეზობლად და ერთადაც დადიოდნენ მსუბუქ არსებათა ბალებზედ. მეც მომაგონდა კლოტილდა; ის იყო კარგა ხნის დედაკაცი და არც თუ ლამაზი,—ხნეობისა ხომ აღარა ეცხო-რა მას. კლოტილდა ასეთს გულ-უხვს საყვარელს ვერ იშოვიდა, — ეს იყო სიცრუე! და თუნდაც ეს ასე არ ყოფილიყო, მარგალიტას წინააღმდეგ ლაპარაკობდა მისივ თვალები, თუმცა ის ძლიერ ცდილობდა, თვისი სიცრუე დაეფარა. ყოველს ჩემს შეხედვაზედ სახე სრულიად უთრთოდა და წამწამებს ხშირად ახამხამებდა; ყოველივე აშკარად სჩანდა ამ მატყუარას თვალებში.

მე დავაპირე, რასაც-კი ვფიქრობდი, გამემჟღავნებინა მისთვის და მესაყვედურნა, მაგრამ იმავ დროს მეშინოდა, რომ ის აღარ მოვიდოდა ჩემ სანახავად და თავი შევიმაგრე.

მარგალიტა-კი ალერსიანის ღიმილით მიამბობდა, რომ ეხლა ის თითქმის ოთხ ფრანკამდის იღებდა დღეში, რომ სამუშაო ძალიან ბევრი ჰქონდა და ამიტომ შეგირდის აყვანასაც აპირებდა.—სამუშაოს ვეღარ ავდივარო, მეუბნებოდა ის; მაგრამ არა! მე დაბეჯითებით ვიცოდი, რომ ყველა ეს სიცრუე იყო.

მწუხარებისა და რისხვის ქარიშხალმა მოიცვა მთლად ჩემი არსება, მაგრამ მე მაინც ვცდილობდი ასე დამშვიდებულს მეგდო ყური ბოლომდის. ყოველგვარს ყბედობაზედ მე მხოლოდ უმნიშვნელო სიტყვებით ვაძლევდი პასუხს. რასაკვირველია, მარგალიტამ ეს ჩემი სიჩუმე ჩემს დაღონებულს მდგომარეობას მიაწერა; ის თითქმის მხიარული დაბრუნდა ჩემგან იმ აზრით, რომ ჩემი მოტყუება მოახერხა.

ასე! მარგალიტა მატყუებდა მაშინ, როდესაც მის გამო ჩადენილ ქურდობისათვის ვიხდიდი ამ სასჯელსა!—იმას ეხლა საყვარელი გაუჩენია,—მაგრამ რას ვამბობ? იქმნება თითო ღამობითაც აქირავებდა თავს რაღაცა მჩვრების გულისათვის, როგორც წინად სჩადიოდა! დღეს ის ახალის კაბით ვნახე—და ხვალ? ხვალ კი, თუნდ მარჯვენას მოვიჭრი, რომ ის ახალის ქუდითა და ხელთათმანებით მოვა ჩემ სანახავად. ხოლო ყველა ის, რაც სამუშაოს შესახებ ილაპარაკა, მხოლოდ სისულელე იყო! ის ამით მამზადებდა, რომ ერთბაშად არ შეუცხოვნა მისი ნახვა სხვა უფრო ახალისა და ძვირფასის სამკაულით. უბედურს, არც-კი მოაგონდა, ჩემთან მოსვლისას ისევ ძველი კაბა ჩაეცვა! მაგრამ, ვინ იცის? იქმნებ კიდევაც იფიქრა, მაგრამ იმავ დროს ითაკილა შეძველებულ კაბით ქუჩაში გამოსვლა! არა! იმან ამგვარი მოჭორვა არჩია,—ის უთუოდ მხრების აწევით ამბობდა თავისთვის: „მისთვის ეს უარესია, თუ არ დაიჯერებსო“! ოჰ! უგუნურო და უგვანო ქმნილებავ! და მე-კი ამ გომბიოსათვის გავუპატიოსნდი, მისთვისა ვგდივარ ამ საპყრობილეში!

მაგრამ, თუ ის აქამდის დაცემულია და არც ვუყვარვარ, რაღად დაიარება ჩემთან? ოჰ, ღმერთო ჩემო, ნუ-თუ მხოლოდ უგუნურ გრძნობიერებისა და გულშემატკივრობის გამო? —ისევე, როგორც შეუძლიან მას რამდენიმე ფურთოხალი წაუღოს სიბრალულით საავადმყოფოში მწოლიარე მეკარის ცოლს?..

მე ვებრალებოდი მარგალიტას! ოჰ, სირცხვილო!

ამგვარ ფიქრებით გავატარე ის მთელი კვირა. ბოლოს-კი შიში შემეპარა, —მე ვფიქრობდი: „იქნება აღარ მოვიდეს მომავალს კვირას სანახავად“? და მხოლოდ მაშინ-ღა მივხვდი, რამდენად კიდევ ძვირფასი იყო ჩემთვის მარგალიტა. მე საშინელს მოწყენილობასა ვგრძნობდი; დავდე ფიცი, —და კიდეც შევასრულე—, რომ არ გამეგებინებინა მისთვის ეს ჩემი ტანჯვა და იჭვი, არამც თუ სიტყვით, უბრალო შეხედვითაც-კი არ მევგრძნობინებინა ჩემი უკმაყოფილოება.

მომავალს კვირას მარგალიტა კიდევ მოვიდა ჩემ სანახავად; —ოჰ, მოვიგე სანაძლეო!—მას ეხურა ლამაზი საგაზაფხულო ქუდი. სრულებით გამოცვლილიყო: სახის გამომეტყველება დაჰმშვიდებოდა და აჰქორფებოდა. რასაკვირველია, ეტყობოდა მას, რომ ეხლა ლუკმა პურისათვის ღამის ტეხა აღარ ესაჭიროებოდა.

მაგრამ ეტყობოდა უწინდებური კადნიერება... ან თუ სიკეთე,—ვინ იცის ესა?—ჯერ კიდევ არ დაეკარგა. იქმნება კიდეც ეგონა, კარგად ვიქცევიო; იმან მახარა, რომ ეხლა ის სრულებით კმაყოფილი იყო,—რომ მას ერთის მაგივრად ორი თანაშემწე ჰყავდა... სულ ახალ-ახალი სიცრუე!

მე მოვაჩვენე თავი, ვითომ ძალიან მხიარული ვიყავი და ხმასაც-კი ალერსიანი კილო მივეცი; მერმე ვთხოვე, ხელთათმანი წაეძრო და ხელი მოაჯირზედ გადმოედო, რომ შემძლებოდა კოცნა. მარგალიტა მემორჩილებოდა. კოცნის დროს შევნიშნე, რომ მისი თითები წინანდებურად აღარ იყო ნემსისაგან დაჩხვლეტილი.

მაგრამ აგერ სატუსაღოს საათმა თერთმეტი დაჰკრა.

ჩქარა ჩემი ნამწვიც ჩაქრება.

ავუჩქაროთ.

მიუხედავად ამისა, მე რომ დრო მქონდეს, გულდასმით გავარჩევდი ჩემს მდგომარეობას და დიდადაც ვისიამოვნებდი; მთელი ჩემი ტანჯვა სამი სიტყვით გამოიხატება, მაგრამ ამ სიტყვების ერთი მეორესთან შეხორცება კანკალს მგვრის. ესაა „სიყვარულის შურს დატუსაღებულისა“! დიაღ! ჯოჯოხეთურს სიხარულს მომგვრიდა, დაწვრილებით რომ ამეწერა ყველა ის, რა სულიერს ქენჯნასაც მარგალიტას ნახვა მაყენებდა. უფრო-კი ერთხელ... ოჰ! ამას უთუოდ გიამბობთ, ეს ყველაზედ საზარელი იყო.

იმ დღეს, მახსოვს, ჩვეულებრივად ველოდი მარგალიტას,—და ვცდილობდი დავრწმუნებულიყავ, რომ

ლებენ ამას. ვერც ურემი და ვერც ცხენოსანი სრულიად ველარ გაივლის ამ გზაზედ, ასე რომ ველარც მთიელი ოსები ჩამოიტანენ რასმეს თავიანთგან, (განსაკუთრებით შეშას, რომელიც მათის ცხოვრების უმთავრესს წყაროს შეადგენს) და ველარც მეჯუღლის-ხეველები წამოიღებენ. აუარებელი ზარალი მოუვიდათ არა ერთსა და ორს ოჯახს, არამედ რამდენსამე სოფელს, მთელს ხეობას, როგორც გლეხებს, ისე ტყის პატრონთ აზნაურთ თულაშვილებს და ყანჩაველებს. ეს გარემოება ყველასათვის მეტად საზარალო და საშიში არის, თუ რომ დროზედ არა ეშველა-რა საქმეს.

მთის ჩამოწოლის მეორე დღეს, 27 მაისს, ადგილობრივი ბოქაული ა. ჩიკოიძე და მამასახლისი წავიდნენ და ადგილობრივ დაათვალიერეს „ივრეთის მთა". ბოქაულმა მთის ჩამოწოლა და გზის გაფუჭება განსაკუთრებით ძალიან საშიშ მოვლენად სცნო და ეს გარემოება გორის მაზრის უფროსს მოახსენა და სთხოვა, რაიმე საშუალება ეხმარათ ამ მოსალოდნელ უბედურების თავიდგან ასაცილებლად. მაზრის უფროსი თავ. რევაზ შ. ერისთავი 31 მოვიდა ივრეთში და დაათვალიერა ადგილობრივ დაზიანებული ადგილი. მაზრის უფროსმა აღუთქვა დასავლეთის მთაზედ ახალს ცხენის გზას გავაკეთებთო. მართლადაც ისეა გაფუჭებული ეს სასარგებლო გზა, რომ მის გასაკეთებლად დიდი ძალ-ღონეა საჭირო: ამისათვის ფრიად საჭიროა, მთავრობამ რაც შეიძლება მალე მიაქციოს ყურადღება ამ ხეობის გაჭირვებულს მდგომარეობას და დახმარება და შემწეობა აღმოუჩინოს, თორემ აქ გლეხკაცობის ძალა არ არის სამყოფი და ისეც დაქვეითებულს მთიელებს და მეჯუღლის-ხეველებს ეს გარემოება უფრო დააქვეითებს და სხვა ათასს ვაი-ვაგლახს თავზედ დაატეხს. თუ გზა მალე არ გაკეთდა, საცოდავი ხალხი ძალიან დაიტანჯება და საგრძნობელს ზარალსაც ნახავს.

ჯერ სხვა-და-სხვა. კარზედ მომდგარი ხარჯები ვერ მოუნელებიათ და დღეს იმავე დროს ეს დიდი ზარალიც ზედ ერთვის!?

მამასახლისი სკოლის ფულს აგროვებს მეჯვრის-ხევში, სახელმწიფო გარდასახადიც წელს ერთი-ორად მოუმატეს, ასე რომ უკანასკნელს გაღატაკებულს გლეხკაცსაც-კი სამი თუმანი შეჰხვდა...

ალ. სოლო—შვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

„რასაცა გასცემ შენია,
რაც არა, დაკარგულია".

აი ის ობოლი მარგალიტი და სხვანი მრავალნიც, რომელნიც საფუძველს აძლევენ ქართველს კაცს, რომ შოთას დიდს ნაწარმოებს უწოდოს მეორე „ქართული სახარება". სწორედ ეს სიტყვები და მის ადრე მცნება უფლისა „მიეც მოწყალება იმ საწყალ კაცსა, რომლისაგან არ მოელი გარდახდასა", მომაგონდა, როდესაც შევიტყე ერთი სასიამოვნო ამბავი, რომელიც მინდა განვუზიარო მკითხველს საზოგადოებას.

არტილ. პოლკოვნიკი ევსევი ალექსანდრეს ძე თ. ბეგთაბეგოვი მომაკვდავი, სულთ-მობრძავი, ეხვეწება თავისს დას კნიაჟნა ნინოს, რომ უკანასკნელი ანდერძი აღუსრულოს: მის სულის მოსახსენებლად ასი თუმანი შეეწირა ქსენონში საწყლების მოსარჩენად მიუხედავად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და წოდებისა, ამ პირობით, რომ ასი თუმანი ერთ წელიწადში უნდა მოახმარონ ასე:

ა) ამ ფულით უნდა არჩინონ ღატაკ-საწყალი თუ უფროსი მორიგე დარწმუნდება, რომ სისაწყლისა გამო არა აქვს ღონისძიება ირჩინოს თავი.

ბ) განკურნებულთ (რომელნიც მორჩებიან) მიეცეთ საცვალი, ტანთსაცმელი და წაღები უყიდონ ხოლმე.

გ) მიეცეს ერთხნობითი შემწეობა იმათ, რომელნიც ულუკმა-პუროდ რჩებიან ხოლმე გამოწერის შემდეგ.

დ) თუ ეჭირვებათ ფეხ-მოჭრილებს ან ყავარჯენი, ან მუხლის ბალიში, ან ხის ფეხი, უყიდონ [illegible] საწყალ განკურნებულს, ან სხვა უსაჭიროესი რამ იარაღი—სასუნთქი, რომელთაც ყელის ავადმყოფობისაგან გაჭრილი აქვთ სასუნთქი.

ე) დავრდომილ ავადმყოფთ, რომელთაც მორჩენის იმედი გადაუწყდებათ და შემწეობას ვერ მისცემენ ქსენონში, დაენიშნოთ ყოველ თვე შემწეობა.

ვ) უფლება ავადმყოფთა დანიშვნისა საკუთრებაა კნიაჟნა ნინოსი, ან ვისაც ის დაავალებს კანონიერის რწმუნებით, ბ, გ, დ და ე მუხლებით-კი მიენიჭება უფროს ექიმს ქსენონისას.

ზ) ამ თანხის ანგარიში (დახარჯულის თანხისა) უნდა წარუდგინონ ხოლმე კნიაჟნა ნინოს.

ნამდვილზედ აწერია: ასული ღენერალ-მაიორის ალექსანდრე თ. ბეგთაბეგოვისა კნიაჟნა ნინო.

ვისაც უნახავს ამ საწყლების გარემოება, ის კარგად წარმოიდგენს ამ სიკეთის სიდიადეს და ძლიერებას. ამ სამადლობელ საქმისათვის ავადმყოფნი შეიკრიბებიან ქსენონის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება პანაშვიდი მისის სულის მოსახსენებლად ორშაბათს, 5 ამ თვეს, რადგან ამ დღეს წელიწადი სრულდება ბ-ნ ევსევის გარდაცვალებისა. საუკუნოდ იყოს ამგვარ მოწყალების გამცემის ხსენება და კურთხეულ სახელი კნიაჟნა ნინოსი, რომ უკანასკნელი ანდერძი შეუსრულა.

ეს შემწეობა წლის შემდეგ უფრორე კარგად იქნება მოწყობილი სამუდამოდ.

მღ. ვასილ კარბელოვი.

P. S. ამგვარი შემწეობა პირველია. თუმცა ხორველობის დროს შესწირეს 65 თუმნამდის, მაგრამ ავადმყოფთა სასარგებლოდ-კი არა, მოსამსახურეთათვის.

## სამკურნალო ნაწილი.

ოდესის ღარიბთა დამხმარებელ მკურნალთა საზოგადოებას მოჰხსენდა ამ დღეებში ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი: ყელ-ჭირვების შრატით ხუნაგის მორჩენა. ხსენებულ საზოგადოების ერთ ექიმთან მივიდა მექარხნე ჟულენი და თავისს ავადმყოფ ბავშვთან მიიწვია თურმე. ავადმყოფს ხუნაგი აღმოუჩნდა. შემოწმების შემდეგ ავადმყოფს რამდენჯერმე შეასხურა კანში ბერინგის მიერ ყელ-ჭირვების წინააღმდეგ გამოგონილი შრატი. გავიდა რამდენიმე დღე და ბავშვი სრულიად განიკურნა. სპეციალისტების სიტყვით, ყელ-ჭირვების წინააღმდეგ გამოგონილი შრატი ძალიან ხშირადა ჰშველის ხუნაგისაგან ავადმყოფსაო.

## ჰიგიენა.

ველოსიპედით სიარულის მოყვარულნი აქამდის დიდად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხსენებული მანქანა ბევრ ავადმყოფობისაგან ანთავისუფლებს ადამიანსაო. მაგრამ როგორც პარისელი ექიმი პტი ამტკიცებს, ველოსიპედით სიარული პირიქით შემდეგს ავადმყოფობას უჩენს თურმე ადამიანს: 1) ველოსიპედით მოსიარულეს უჩნდება კუ, ემართებათ ისტერია და სხვ. 2) ხშირად ემართებათ ანთება, უსნეულდებათ გული, ფილტვი, თირკმელები და სხ. გარდა დასახელებელ ავადმყოფობათა ველოსიპედი ბევრს სხვა სენსაც უჩენს ადამიანს, რადგანაც ველოსიპედი ძალიანა ჰღალავს და ასუსტებს; ამიტომ ველოსიპედით სიარულს უნდა ერიდნენ შემდეგნი პირნი: ვისაც უკვე აქვს რომელიმე ზემოდ მოხსენებული ავადმყოფობა, და განსაკუთრებით-კი მოხუცნი, რომელთაც გული, ძარღვები და თირკმელები დაზიანებული აქვთ, არ ვურჩევთ აგრეთვე ველოსიპედით სიარულს სუსტის ნერვების ქალებს და სხ. დასასრულ საზარალოა გამხდარ და მაღალის ტანის ორივე სქესის ახალგაზდათათვის, რადგანაც ადვილი შესაძლებელია ველოსიპედმა ხერხემალი და მთელი ტანი გაუბრუნდოს.

## რუსეთის ცხოვრება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყურადღება მიაქცია სოფლის მუშათა უწეს-რიგო მოძრაობას ერთის გუბერნიიდგან მეორეში სამუშაოს მოსაპოვებლად. ამ უწეს-რიგო ხეტიალს ვნება მოაქვს როგორც იმ მემამულეთათვის, რომელთ ბევრი მუშა ეჭირვება ხოლმე და ვერ უპოვია, აგრეთვე თვით მუშათათვის, რომელნიც ხმას აჰყვებიან და გროვდებიან ერთს ადგილას, სადაც ყველასათვის სამუშაო ვერ მოიძებნება. 11 მაისს სამინისტროში შესდგა კომისია ბ-ნის ზვეგინცოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საჭირო პროექტი ამ საქმის რიგიანად მოსაწყობად კომისიამ უნდა განიხილოს სამი საგ ნი: 1) მუშათა მოძრაობის გაუმჯობესება იმ რიგად, რომ ყოველს ადგილს მხოლოდ საჭიროების მიხედვით იგზავნებოდეს მუშა; 2) შეღავათის აღმოჩენა მუშისთვის მოგზაურობის დროს და სამუშაოს მოპოვებამდის; 3) გაუმჯობესება იმ პირობათა, რომლითაც ეკვრიან ერთმანეთს მემამულე და მუშა.

27 მაისს პეტერბურგში მიუღიათ იაპონიის პასუხი, რომლითაც იაპონია თანხმობას აცხადებს სავაჭრო კავშირის შეკვრისას რუსეთთან. ტრაქტატს ხელი მოაწერეს უკვე: იაპონიის ელჩმა ნისსიმ, ფინანსთა მინისტრმა ვიტტემ და გარეშე საქმეთა მინისტრმა თავ. ლობანოვ-როსტოვსკიმ. ტრაქტატი ძალაში შედის სრულიად მხოლოდ ოთხის წლის შემდეგ, ხოლო საქონელზედ საბაჟო გარდასახადი შემცირდება ერთის თვის შემდეგ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მალე დაასრულებს შემუშავებას ერთის ნორმალურის წესდებისას ყველა დამზღვევ საზოგადოებათათვის.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩინეთ-იაპონიის ომმა ნათლად დაგვანახვა, თუ როგორი სარდლები

---

მეტის-მეტი უნდო ვიყავი,—რომ ადვილად შეიძლებოდა, დედაკაცს იმდენი ეშრომა, რომ ტანისამოსიც ეყიდნა. უცბად ერთი შემთხვევა მომაგონდა და თითქმის დამამშვიდა. მარგალიტას არასოდეს არ ჰშინებია, ჩემთან მოსვლისას ახალი ტანისამოსი სცმოდა,—და რომ ვიფიქროთ, იქნება ესაც ამტკიცებდა მისს უმანკოებას, სიმართლეს. ძვირფასი სამკაული-კი მარგალიტას არასოდეს არა ჰქონია, გარდა იმ სამაჯურისა, რომელიც მოპარული ფულით ვუყიდე. მერმე? მარგალიტამვე აღარ ისურვა მისი ტარება და საქმის გარჩევის დროს უკან დაუბრუნა. იქამდის უბრალო იყო მარგალიტა, რომ, საყურეები რა არის, ისიც-კი არ ჰქონდა, და მისი ყურები ჯერაც ხელშეუხებელი იყო. არც თუ ჰქონდა მას სურვილი სხვა-და-სხვა მომხიბლველი და ფუჭი ნივთები ეტარებინა; იმას თითქმის სძულდა ეს. და ეს მისი უკანასკნელი თვისება მარწმუნებდა, რომ დანაშაული არ იყო.

მაგრამ დალახვრა ეშმაკი! თუმცა მისს თითებზედ ბეჭდებს ვერ ვხედავდი, მაინც აგერ რამდენიმე ხანია, რაც მათ მუშაობა სრულებით არ ეტყობოდა. ჩემთვის ამასაც ვამბობდი ხოლმე: იქმნება საჩუქრებიც მოსდიოდეს, მაგრამ არ იკეთებდეს, როდესაც ჩემ სანახავად მოდის? მაგრამ ამ დღეს მე მეტად გულ-კეთილი ვიყავ,—მე ვსცდილობდი, დამერწმუნებინა ჩემი თავი, რომ ვცდებოდი და ათას გვარ მოსაზრებათა შორის, რომელნიც მალე, ძალიან მალე იცვლებოდნენ ერთი მეორეთი, მხოლოდ იმათ ვაქცევდი ყურადღებას, რომელნიც მარგალიტას სასარგებლონი იყვნენ.

ის სწორედ დანიშნულს დროზედ მოვიდა ჩემთან და, როგორც დავინახე, მაშინვე ვიგრძენ, რომ ჩემი ეჭვები სრულებით გაიბნა. მაგრამ როდესაც ახლო მოვიდა, —ოჰ! წინადგრძნობათა მწარე დაცინვავ!—მე პირველ შეხედვაზედვე შევნიშნე მისს ყურებს ორი ჯერ ისევ ახალი და პატარა ნაჩვრეტები!...

მაშ ასე, ეხლა მარგალიტას ძვირფასი ნივთებიცა აქვს,—იმ დედაკაცს, რომელიც წინად ჭირივით ერიდებოდა ძვირფასის სამკაულის ტარებას და რომელსაც მთელს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ვუყიდე სამაჯური და ისიც ნაპარევ ფულებით. ის ეხლა იკეთებს ყურებზედ მკრთალს მარგალიტს, ან ბრილიანტს, და მეკი—მიმალავს ამას რაღაცა ზრდილობით!..

იმ დღის შემდგომ, როდესაც უკანასკნელად დავრწმუნდი მარგალიტას ღალატში, სწორედ იმ დღის შემდგომ დავიწყე ფიქრი, რომ თავი მომეკლა. ეს უფრო ადრე უნდა მომხდინა. მაგრამ კაცი მუდამ ფლიდია, სიკვდილისა ეშინიან, და მერმე... მერმე, თუ სიმართლის გაგება გინდათ, ის იყო მიზეზი, რომ მარგალიტა ჯერეც-კი მიყვარს, და ღამე, ჩემს მწუხარე ლოგინშიაც-კი არ მასვენებს სიზმრები,—სიზმრები, რომლებიც აღსავსეა მარგალიტას მოგონებით! ოჰ! მახსოვს მე ისეთი სისუსტის წამებიც, როდესაც მე მზა ვიყავ ხოლმე, კვლავ მიმეღო მარგალიტა, მიმეღო ისეთი, როგორიც უწინ, ან ეხლა იყო; მე შემეძლო ყოველგვარი სიმდაბლე ჩამედინა, ყველაფერზედ დავყოლოდი. ხშირად მევე ვიგდებდი სასაცილოდ ჩემს თავს, ჩემს შურს სიყვარულისას და ვამბობდი ჩემთვის: „რომ ქურდს არა მაქვს უფლება ამის ფიქრისა და მე ხომ ქურდი ვიყავი. მაგრამ ის ფიქრი, ის წარმოდგენა, რომ მარგალიტა მღალატობდა, ვაჰრობდა სიყვარულით, ვიდრე მე სატუსაღოში ვიჯექ, და ისევ იმის გამო-კი, ჰკვიდამა მშლიდა, მაცოფიანებდა.

დიაღ, როგორც დასაწყისშიაცა ვსთქვი, მე შემიძლიან ხვალ დილით მარგალიტასთან ვიყო; იმასთან ერთად ვსაუზმობდე ჩემს პატარა ოთახში, საიდგანაც ისე კარგად მოჩანს მშვენიერი ბაღი ოქროს ფერ შემოდგომის ტანსაფარით. დიაღ! ეს ნეტარება მექმნებოდა... მაგრამ იმავ დროს რომ ჩამქრალს ბუხარში შევნიშნო მის გუშინდელ სტუმრისაგან დატოვებული სიგარის ნამწვი, მე ადვილად, ძალიან ადვილად, შემიძლიან ავიღო მაგიდადამ დანა, და შეუბრალებლად გაუპო მას გული.

მაგრამ არა მსურს, მკვლელი გავხდე! ისიცა კმარა, რომ ქურდის სახელი მოვიხვეჭე. სიკვდილი მირჩევნიან...

შურისუძიებლად სიკვდილი...სჯობს ვიფიქრო, რომ ყველა, რაც მოხდა, აუცილებელი იყო,—რომ ის გულწრფელი იყო, და შეიძლება ცოტა მაინც არის ვუყვარდი კიდეც იმ დღეს, როდესაც ფიცი მომცა, მაგრამ შესრულება-კი ველარ შესძლო სისუსტის გამო.

მაპატიე, მარგალიტა! ნამდვილი რომ ვსთქვა, შენ არ იყავ ბოროტი და, როდესაც ამ ფურცლებს გადიკითხავ, დარწმუნებული ვარ, ცოტას კიდეც იტირებ. მაგრამ ყოველივე წარმავალია და შემდგომში, როდესაც რომელიმე შენი შემთხვევითი მეგობარი მოისურვებს შენის ცხოვრების ისტორიის შეტყობას, ვიცი, გაიღვიძებს შენში პატივის მოყვარეობა; ეს შენს მზგავსებას სენადა სდევთ. შენ მაშინ შიშველი წაჰმოვარდები ლოგინიდგან; ამოიღებ კამოდის ზევითა უჯრიდამ ამ ფურცლებს, სათამაშო ქიღალდსა და მევახშის ბარათებთან ერთად შენახულს და წაუკითხავ ამ ჩემს ანდერძს. ამით მოიწონებ თავს შენს ერთის ღამის სტუმართან და ეცდები დაუმტკიცო, რომ აღმოჩნდა იმისთანა უბედურიც, რომელმაც სიცოცხლე გიმსხვერპლა.

ჰა! შუა ღამეა... ჩემი ნამწვი ეხლავ ჩაქრება... მე უკვე დავწან ზეწრის თოკი. ყურის-საგდებელ ფანჯარის კოჭი საკმაოდ მაგარია... ცოტა სივაჟკაცე და, დროა გავათავო!..

ინ-ანი.

ჰყავს ჩინეთსაო,—ამბობს გაზ. „მოსკ. ვედ.“-ი.

ამ წინაზედ გვქონდა დაბეჭდილი, თუ რითი ჰხსნიდა მიზეზს პორტ-არტურის დაპყრობისას ჩინეთის ჟურნალ-გაზეთობა ჩინელები ამტკიცებდნენ, რომ გენერალმა ტსომ, რომელიც ხსენებულს სიმაგრეს სდარაჯობდა, „განსაკუთრებულ სტრატეგიულ მოსაზრებით“ დაუთმო იგი იაპონელთ და ამ გარემოებას უნდა ისე ვუცქეროდეთ, როგორც შესანიშნავსა და ხელოვნურს ალღუმსაო. ჩვენმა მკითხველებმა, რასაკვირველია, იციან რამდენად სასარგებლო იყო ეს მოსაზრება. უფრო ახირებულს ამბავს იუწყებიან ამ ჟამად უცხოეთის გაზეთები ჩინეთის გენერალ უ-თა-ჯანის შესახებ. იაპონელთ მრავალ გამარჯვების შემდეგ მან მიჰმართა გამარჯვებულთ, რომლითაც ურჩევდა: „დაგვნებდით და მით თავი გადაარჩინეთ სიკვდილსაო“. გენერალი ჰპირდებოდა პატიებას, თუ იაპონელნი მუხლმოყრილნი ბოდიშს მოსთხოვენ. პროკლამაცია ისეთის სერიოზულის კილოთი არის დაწერილი, რომ სიცილსა ჰგვრის მკითხველს.

სწორედ საკვირველი ხალხია ეს ჩინელები! მათ განსხვავებული თავები უნდა ებას ალბად!“ დასძენს მოსკოვის გაზეთი.

მაგრამ ,,მოსკ. ვედ.‘‘-ს ნაკლებად გაუკვირდებოდა ჩინელ გენერლების საოცარი მოსაზრება, ზოგიერთ ჩვენის ფელეტონისტის ამბავი რომ სცოდნოდა! ისე როგორც ზემოხსენებული გენერლები დარწმუნებულნი არიან, რომ ჩინელებმა გიამარჯვეს, თუმცა იაპონიამ სრულიად გაანადგურა მათი სამხედრო ძალა, სწორედ ისე, გულ-უბრყვილოდ, ილ. ხონელი გულმოდგინეობით არწმუნებს ყველას, რომ ბანკის ოპოზიციამ გაიმარჯვა. ალბად ამ პუბლიცისტსაც, ,,მოსკოვ. ვედ.‘‘-ს ახსნისამებრ: „голова совершенно иначе устроена, чѣмъ у всѣхъ другихъ!“

—

გაზ. ,,ნოვოე ვრემია‘‘ ამბობს:

„მართალია ფორმოზას კუნძულზედ რესპუბლიკა გაუქმდა, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ იაპონია უკვე შეიქმნა მპყრობელი დიდის და მდიდარის კუნძულისაო“. როგორც გუშინდელ დეპეშიდგან ვიცით ამ გაზეთს არ გაუმართლდა წინასწარმეტყველება და იაპონიის მმართველობამ დღეს მაგრა მოიკიდა ფეხი ფორმოზაზედა.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ამ ჟამად საფრანგეთში მორიგ გასარჩევ საგნად გამხდარა ადმინისტრაციის რეფორმა დეცენტრალიზაციის წესით. ამ საგნის შესახებ მრავალი წერილები დაიბეჭდა სხვა-და-სხვა ჟურნალებში და აგრეთვე ცალკე ეტიუდებიც ყველაზედ მეტს ყურადღებას ამ წერილებში იპყრობს წიგნი პოლ დეშანელისა „La Décentralisation“. ავტორი ამ წიგნისა პარლამენტ გარეშე კომისიის წევრად იმყოფება, იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს მოსალოდნელ რეფორმის პირველი გამოკვლევა; ესევე ავტორი ითვლება დეცენტრალიზაციის გუნდის მთავარ მდივნად, რომელიც დაარსებულია იმ აზრით, რომ საზოგადოების ყურადღება მიაქციოს საფრანგეთის მმართველობის დიდს რეფორმას. დეშანელი არის მომხრე ცენტრალიზაციის შეზღუდვის მსურველთა, რომელმაც ისე ღრმად გაიდგა ფესვი საფრანგეთში, და რომელსაც ხშირად ძალიან ცუდი შედეგიც მოსდევს ხოლმე: ნიჭიერის კაცისაგან და ცოცხლად შედგენილი წიგნი დეშანელისა წარმოადგენს საზოგადო მიმოხილვას ხსენებულის საგნის შესახებ. წიგნი შესდგება ორის ნაწილისაგან. პირველში მოთავსებულია დეცენტრალიზაციის შესახებ თეორიული აზრები; ხოლო უკანასკნელს ნაწილს აქვს უფრო პრაქტიული ხასიათი და გარჩეულია კერძო ცვლილებანი, რომელნიც მმართველობის სხვა-და-სხვა ნაწილში იქმნებიან შემოღებულნი.

—

**ოსმალეთი.** რეფორმები ოსმალეთის სომხეთის შესახებ დაბეჭდილია ლონდონის რამდენსამე გაზეთში. მისი მოკლედ მოყვანილი შინაარსი შემდეგია: 1) შემცირდეს რიცხვი ვილაიეტებისა, 2) დადგენილ იქმნას გარანტია მმართველის ამოსარჩევად, 3) პოლიტიკურ დამნაშავეთა და ექსორია-ქმნილთ სომეხთა ეპატიოთ სასჯელი, 4) მიეცეთ ნება სამშობლოში დაბრუნებისა ემიგრანტებსა და გაძევებულ სომეხთ, 5) სასამართლოში მალე იქმნას გათავებული ჩვეულებრივ დამნაშავეთა საქმე, 6) შემოღებულ იქმნას რევიზია საპატიმროებისა და პატიმრების მდგომარეობის გაუმჯობესებისა, 7) დაინიშნოს კომისარ-კონტროლერი, რათა ზემოხსენებული რეფორმები განხორციელებულ იქმნან პროვინციებში, 8) დაარსდეს სტამბოლში ზედამხედველი კომისია, 9) დაჯილდოვებულ იქმნან ის სომხები, რომელთაც ზარალი მოუვიდათ ამბოხების დროს სასუნში, ტალარში და სხვა, 10) გაუმჯობესდეს ის წეს-რიგი, რომელიც შეეხება ერთის სარწმუნოებიდგან მეორეში გადასვლას, 11) დაცულ იქმნას მტიცედ სომეხთა უფლებანი და უპირატესობანი და 12) განმარტებულ იქმნას სომეხთა მდგომარეობა ოსმალეთის სხვა-და-სხვა მხარეებში.

## ბიბლიოგრაფია.

ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი რუსულს ენაზედ შემდეგის სათაურით „Сборникъ свѣдѣній по плодоводству въ закавказскомъ краѣ. Выпускъ I.“ წიგნი გამოცემულია სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან, შეიცავს 127 გვერდს. წიგნში მოთავსებულია სამი წერილი: 1) ბაღოსნობა ბაქოს გუბერნიის ყუბის მაზრაში, გ. გ. დანიელბეკოვისა; 2) ბაღოსნობა ტფილისის გუბერნიის გორის მაზრისა, ნ. ნ. სუშენცევისა და 3) ბაღოსნობა იმერეთში, თავ. ერმ. ნაკაშიძისა. გარდა ამისა წიგნში ჩართულია პროგრამა, თუ რა და რა ცნობები უნდა იკრიბებოდეს ბაღოსნობის შესახებ. ხეხილის მოყვანას მცირე ყურადღებას აქცევენ საქართველოს მემამულენი, თუმცა ადგილობრივი გარემოება საშუალებას იძლევა—კარგად მოეწყოს ეს საქმე და დიდი სარგებლობაც მოუტანოს. ბაღოსნობის ცუდის მდგომარეობის მიზეზი ბევრიაო, ნათქვამია წიგნის დასაწყისში, და ამიტომ საჭიროა სრული გამოკვლევა საქმის მდგომარეობისაო. ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად განუზრახავთ ცნობების შეკრება და შემდეგ ბეჭდვა. პირველი ნაწილი ზემოხსენებულის შინაარსით უკვე დაიბეჭდა. წერილებში ბევრი სხვა-და-სხვა ცნობაა შეკრებილი ხეხილის მოყვანის შესახებ. ჩვენ აქ ამოვიწერთ მხოლოდ შემდეგს ცნობებს გორის მაზრისა და იმერეთის შესახებ: სულ გორის მაზრაში მოდის 70 ათას ფუთამდე ხილი წელიწადში, აქედან 40 ათას ფუთზედ მეტი ისყიდება, ხოლო დანარჩენი იქვე შინაურობაში იხარჯება; შუათანა აღრიცხვით მაზრაში მოსული ხილი (ყურძენი არ არის მხედველობაში მიღებული) ღირს 22—30 ათას მანეთად. იმერეთში დიდძალი ხილეულობა მოდის, რომლიდგანაც 60 ათას ფუთზედ მეტი (უყურძნოთ) ბაზარში გააქვთ. წერილებში მოთავსებულია აგრეთვე აღწერა დიდისა და კარგის ბაღებისა გორის მაზრისა და იმერეთის მემამულეთა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 ივნისი.

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტ.“ საჯაროდ გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატისადმი, რომ ამ 1895 წელს რუსეთის იმპერიის ყველა ადგილებიდგან, სადაც-კი სამხედრო წესდება ჰმოქმედებს, ორას-სამოც-და-თოთხმეტი ათასი, ექვსას-ორმოც-და-თოთხმეტი კაცი იქმნას გამოწვეული მხედრობისა და ფლოტის შესავსებლად, რომელთა რიცხვშიაც მოჰყვებიან ისინიც, ვინც ამ წლის კენჭისათვის უნდა წარსდგეს სამხედრო სამსახურიდგან განმათავისუფლებელ წინანდელ სარეკრუტო ბარათებით.

სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტთა თავმჯდომარენი და წევრნი უმაღლესად დამტკიცებულ იქმნენ ხსენებულს წოდებაზედ ამ მიმდინარე წლის მეორე ნახევრისათვის.

უმაღლესაც ნაბრძანებ იქმნა ბანკის კანტორებში შეტანილ გირავნობათა შემოსავალსა და საზარაფოებს 5% გარდასახადი დაედოს.

**პარიზი,** 2 ივნისი. გაზეთებში გავრცელებული ხმა, ვითომ პესკადორის კუნძულები ჩინეთმა საფრანგეთს დაუთმოო, ტყუილია,—ხსენებული კუნძულები იაპონიას დაეთმო და კიდევაც შევიდა მფლობელობაში.

**ლონდონი,** 2 ივნისი. პარლამენტში აშმად ბარტლოტმა მთავრობას მიჰმართა და დაეკითხა: იცის, თუ არა, რომ რუსეთი ჩინეთს თავდებობას უწევს იმ პირობით, რომ ციმბირის გზა რუსეთმა მანჯურიაზედ გაიყვანოს და ჩინეთის ტერრიტორიაზედ, კორეს სამხრეთ-დასავლეთით, ერთი ნავთსადგური შეიძინოს. ედუარდ გრეიმ უპასუხა: შევიტყეთ, რომ ჯერ-ჯერობით ჩინეთსა და რუსეთს შორის არავითარი ხელშეკრულობა არ მომხდარა, ხოლო რაც შეეხება ამ სახელმწიფოთა მოლაპარაკებას შემდგომში, ამაზედ ვერაფერს შეგატყობინებთო.

### პეტერბურგის ბირჟა, 2 ივნისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 205½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — ,, | — ,, | 101½ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — ,, | — ,, |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 „ | — ,, | — ,, |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⅝ | — ,, | — ,, |

### „ივერიის“ ფოსტა.

—

**თიანეთს, ი. კახელს:** თქვენი მოთხრობა და თარგმანი ჯერ ვერ დაიბეჭდა; მაგრამ დაიბეჭდება-კი.



# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში მეორედ შევსებული და გამოცემული ავტორის სურათით მშვენიერს ქაღალდზედ

კნ. ნინო ორბელიანის

# ლექსები.

ფასი 50 კაპ.

მსურველს შეუძლიან მიჰმართოს გამომცემელს ოზურგეთში და ახალსენაკში.

დამზღვევი საზოგადოება

# „იაკორი“

(ღ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოლასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—»)



Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Іюня 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე